ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 113

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 აგვისტოს №44-4422235342 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412699263) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირის №44-ის დასავლეთით მდებარე გზის ნაწილის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.01.24.378; ფართობით: 13.0 კვ.მ.), 5 (ხუთი) წლის ვადით.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილის დასკვნების (21.03.2022 წელი, №08/03 და №09/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 650.0 (ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

საქართველო ქ. ქუთაისი

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქი“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412699263) ვალდებულია წლიური სარგებლობის ქირის გადახდა დაიწყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის შემდეგ.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქი“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412699263) ვალდებულია სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ელექტრო მანქანების დამტენი აპარატის განთავსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია